ოცნება აღსრულდა

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი
ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუზეუმი

დიდი ხანია მომწიფდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმის გახსნის საკითხი. მუზეუმში წარმოდგენილი მასალები მნახველებს გააცნობდნენ საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას უძველესი პერიოდიდან დღემდე. ამ საქმით დაინტერესებულთ თავის დროზე მხარი დაუჭირა რესპუბლიკის სპორტკავშირმა და სხვა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, სპორტის ვეტერანებმა. შეგროვდა ექსპონატები და გუშინ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩაზე, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მუზეუმი. მისი გახსნა მიეძღვნა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

შეკრებილთ მიესალმა და მუზეუმის დაარსება მიულოცა საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. პირველი სტუმრები ათვალიერებდნენ ექსპონატებს, რომლებიც საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოთა პერიოდს ასახავენ. აქ წარმოდგენილია მასალები ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტის ვეტერანების არქივებიდან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სპორტის დამსახურებული ოსტატების ნ. დუმბაძის, ლ. გოლოვნიას, ბ. პაიჭაძის, გ. ეგნატაშვილის, გ. ჩიკვაიძის, გ. ნიკოლაძის, გ. ბაბილოძის და სხვათა ცხოვრებისა და სპორტულ წარმატებათა ამსახველი ექსპონატები. აქაა ის ბადრო, რომლითაც ნ. დუმბაძემ შვიდი საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დაამყარა და იგი 42.13 მეტრიდან 49.88 მეტრამდე აიყვანა. აქვეა მისი უკანასკნელი მსოფლიო რეკორდის (57.04 სმ) დამყარების ამსახველი ფოტო და სხვ.

მუზეუმის სტუმრებს შეუძლიათ ნახონ ორი დაშნა, რომლითაც ლ. გოლოვნია იბრძოდა საფრიკაო ბილიკებზე. გ. ეგნატაშვილის ფონდიდან აღებული ექსპონატები მნახველებს აცნობენ პირველი ტანვარჯიშული ჯგუფების საქმიანობას საქართველოში. კარგადაა გაფორმებული სტენდი — „თბილისის „დინამო“ — სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში“. ფართო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობას, ქართული ალპინიზმის, სპორტის ეროვნული სახეობების ამსახველ დოკუმენტებს და სხვ.

პირველი ექსპონატების გამოფენით კარგი საქმე გაკეთდა, ეს მხოლოდ საქმის ნაწილია. მალე გაიხსნება ახალი განყოფილებანი, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება უძველესი, რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი პერიოდის ქართული ფიზკულტურისა და სპორტის ამსახველი მასალები.

* * *

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმის ექსპონატებმა მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სურათებზე: მნახველები ეცნობიან ექსპონატებს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 160 (2880) ● კვირა, 15 აგვისტო, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

მთავარი პრიზი — მოსკოველებს

14 აგვისტოს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იზეიმა ფიზკულტურელის დღე. ამ დღესვე მოხდა პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადის დახურვა. „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზში საზეიმო ვითარებაში ოფიციალურად მოეწყო სპარტაკიადის შემაჯამებელი საღამო. საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ტ. ნიკოლაევამ მთავარი პრიზი — საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი თასი საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისათვის გადასცა მოსკოვის გუნდს. მოსკოველები პირველები იყვნენ სპორტის 13 სახეობაში. მეორე გარდამავალი პრიზი მიიღო რსფსრ-მ, ხოლო მესამე — უკრაინამ.

სპარტაკიადის მოწინავეთა შორის არიან ხარკოვის ველოქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი, სპორტული კლუბები — „პლამია“ (რსფსრ), „კრასნი ოკტიაბრი“ (მოსკოვი), ლენინგრადის „ზენიტი“, ლუგანსკის „ზარია“ და მგუ-ს სპორტკლუბი. ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს შორის შეჯიბრებაში თავიანთ ქვეჯგუფებში საუკეთესოებად აღიარებულნი არიან სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“, ლიტვის „ჟალგირისი“, უკრაინის „ავანგარდი“, ყაზახეთის „კაირატი“.

სპარტაკიადის ბოლო დღეებში რამდენიმე წარმატება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა: ქალთა შორის კოშკიდან წყალში მხტომელთა შორის მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ა. კალიაგინა, „გაქცეულ ირემზე“ ორმაგ სროლაში ვ. კოხრეიძე მეხუთე იყო, ხოლო ერთმაგი და ორმაგი სროლების ჯამში მანვე მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ჩვენმა ხელბურთელმა ვაჟებმა წააგეს მოსკოვის გუნდთან — 11:17, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ზეიმი ლუჟნიკის სტადიონზე გაგრძელდა. ამინდმა ხელი შეუშალა მძლეოსნებს იერიში მიეტანათ რეკორდებზე, მაგრამ პროფკავშირთა ნაკრებმა ნ. ჩალოვას, ვ. პოპკოვას, ლ. ფადეევასა და ზ. პადიეევას შემადგენლობით ესტაფეტაში 100+200+300+400 მეტრი საკმაოდ მაღალი შედეგი უჩვენა — 2.12,0.

СПАРТАКИАДА ПРОФСОЮЗОВ
VIII
1965

სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ლ. სვირიდოვმა განაცხადა, რომ შეჯიბრების მსვლელობისას დამყარებულ იქნა 245 რესპუბლიკური რეკორდი, 43 — საკავშირო და პროფკავშირების, 10 — ევროპისა და 9 მსოფლიო რეკორდი. ახალგაზრდა სპორტსმენებიდან მთავარმა მსაჯმა განსაკუთრებით გამოჰყო ტანმოვარჯიშე ნ. ოვჩინინიკოვა (რსფსრ), მოჭიდავე გ. ყვარელაშვილი (საქართველო), წყალში მხტომელი ვ. ვოლეინი (ყაზახეთი) და სხვ.

— ახლახან დამთავრებულმა სპარტაკიადამ, — თქვა მთავარმა მსაჯმა, — გაამართლა იმედები, რადგან იგი საშუალებას იძლევა ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს რეზერვს საერთოდ. სპარტაკიადის ყველა მონაწილისთვის ეს შეჯიბრებები იყო შემდგომი დაოსტატების დიდი და კარგი სკოლა.

ფინიში

დამთავრდა პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა:

1.	**მოსკოვი**	320 ქულა,
2.	**რსფსრ**	315,5 ქულა,
3.	**უკრაინა**	301 ქულა,
4.	**ლენინგრადი**	286,5 ქულა,
5.	**ბელორუსია**	249,5 ქულა,
6.	**საქართველო**	245,5 ქულა,
7.	**ყაზახეთი**	229 ქულა,
8.	**უზბეკეთი**	205,5 ქულა,
9.	**ლატვია**	205 ქულა,
10.	**ლიტვა**	204 ქულა,
11.	**ესტონეთი**	204 ქულა,
12.	**აზერბაიჯანი**	193,5 ქულა,
13.	**მოლდავეთი**	145 ქულა,
14.	**ყირგიზეთი**	128,5 ქულა,
15.	**სომხეთი**	128 ქულა,
16.	**ტაჯიკეთი**	109,5 ქულა,
17.	**თურქმენეთი**	80 ქულა.

ლიტვის გუნდს უპირატესობა მიენიჭა ესტონელთა წინაშე პირველი ადგილების უმეტესობის გამო.

საქართველო მეექვსე ადგილზეა



უკანასკნელ საათს...

◆ **მოსკოვი, 14 აგვისტო.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე დღეს გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ვაჟთა ერთეულებს შორის. ფინალში გასვლისათვის ითამაშეს თბილისელმა ა. მეტრეველმა და ამერიკელმა ფოქსმა. გაიმარჯვა ქართველმა ჩოგბურთელმა. იგი ფინალურ მატჩში შეხვდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს თ. ლეიუსს. ქალთა შორის უძლიერესს გამოავლენს საბჭოთა სპორტსმენის გ. ბაკშეევასა და ამერიკელი ჩოგბურთელის მ. სმითის ორთაბრძოლა.

◆ **ბლეკპული, 14 აგვისტო.** საწყლოსნო ბილიკების ახალი „ვარსკვლავი“, 12 წლის სამხრეთაფრიკელი მოსწავლე კარენ მუირი შინ დაბრუნდება, როგორც ზღაპრული პრინცესა. ბრიტანეთის ჩემპიონატზე ცურვაში 3 ოქროს მედლის მფლობელი პირველად გახდა ასეთი ნორჩი სპორტსმენი. ზურგზე ცურვაში გამარჯვების შემდეგ, სადაც მან დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, კარენმა თავისუფალი სტილით მოიგო ჯერ 220 იარდზე, ხოლო შემდეგ 110 იარდზე ცურვა.

◆ **ზიეცინი, 14 აგვისტო.** აქ გამართულ პოლონეთის ჩემპიონატზე მძლეოსნობაში ვ. მანიაკმა გაიმეორა თავისი ქვეყნის ეროვნული რეკორდი. მან 100 მეტრი დაფარა 10,1 წამში.

◆ **მოსკოვი, 14 აგვისტო.** დღეს აქ საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა ახალ დიდ კომპლექსურ სპორტულ ნაგებობას, რომლის მშენებლობა 1966 წელს დამთავრდება. მირონოვის ქუჩაზე მდებარე დიდი საცურაო სახახლის ახლოს 50 ათასი კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე აშენდება 2 საწყლოსნო აუზი — 50-მეტრიანი და 55-იარდიანი.

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება 8 ქვეყნის ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც.

სურათზე: წყვილთა შეხვედრის მომენტი. ერთმანეთს ხვდებიან ამერიკელები რ. უერკსმენი და ა. ფოქსი (წინა პლანზე) და საბჭოთა ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და ი. პარმასი. მატჩი საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 6:3, 6:1, 4:6, 6:1.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

იზეიმეს

თბილისი

დედაქალაქის სპორტსმენებმა ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღე. თბილისის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე გაიმართა მასობრივი შეჯიბრებანი. მოცურავეთა საინტერესო ტურნირი მოეწყო ორთაჭალაში „განთიადის" აუზზე. აქ თავიანთი პირველობანი ჩაატარეს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს, უსინათლოთა საზოგადოების, „კავგიპროტრანსის", სპორტკლუბ „განთიადისა" და სხვათა მოცურავეებმა. აქვე მოეწყო ასპარეზობები მრავალჭიდში, ფარფლებით ცურვა, ყვინთვა, წყალბურთი. სულ სტარტზე გამოვიდა 1000-მდე ფიზკულტურელი.

თბილისის ზღვაზე შეკრებილებმა ნახეს წყლის თხილამურებით ასპარეზობა. გაიმართა მასობრივი სეირნობა სახალხო და სპორტული ნავებით. ნიჩბიანი და მოტორიანი ნავების ტურნირები მოეწყო მდინარე მტკვარზე.

ლისის ტბაზე ერთდროულად მიმდინარეობდა შეჯიბრებანი მშთ მრავალჭიდში, ცურვაში, ფრენბურთსა და კალათბურთში. მონაწილეობდნენ აქ დასასვენებლად მოსული თბილისელი მშრომელები და დედაქალაქის ფიზკულტურელები.

ორჯონიკიძის სახელობის პარკში გამართულმა ქართულ მოჭიდავეთა ასპარეზობამ ბევრი მნახველი მიიზიდა. სხვები ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსში ცდიდნენ ძალებს, აქვე მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი რამდენიმე მაგიდაზე ჩატარდა და იგი გვიანობამდე გაგრძელდა. ანალოგიური ღონისძიებანი მოეწყო მთაწმინდის პარკშიც.

ხალხმრავალი სპორტული ზეიმები გაიმართა დიღმისა და მესამე საცხოვრებელ მასივებში.

ქუთაისი

საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ფიზკულტურელები სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ქალაქის ცენტრალურ ბაზებზე და ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში ქალაქის სპორტკავშირის ინიციატივით მოეწყო მასობრივი შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ასპარეზობებში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ქუთაისის წამყვანი სპორტსმენები.

ბათუმი

აჭარის დედაქალაქმა იზეიმა ფიზკულტურელთა დღე. „დინამოს" და „განთიადის" წყალჯომარდობის სადგურებში, ზღვისპირა პარკის მოედნებზე მოეწყო შეჯიბრებები ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში. ასპარეზობებმა მასპინძლების და დასასვენებლად ჩამოსულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

რუსთავი

ქართველმა მეტალურგებმა „მეტალურგის", „ქიმიკოსის" მოედნებზე, კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარებულ მასობრივ შეჯიბრებებში სცადეს ძალები. ასობით სპორტის მოყვარულმა ზეიმით აღნიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე.

ხაშური

არ დარჩენილა ქალაქის არც ერთი სპორტული ნაგებობა, სადაც ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი მასობრივ-სპორტული ასპარეზობანი არ გამართულიყოს. სპორტის მოყვარულნი ყველაზე მეტად მაინც ახლად გახსნილმა საცურაო აუზმა მიიზიდა. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები, მოსწავლეები. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი გაიმართა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ ბევრ პიონერთა ბანაკშიც.

ახალგაზრდობის ინიციატივით

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ ლანჩხუთელები. მათ გარკვეული ღონისძიებები ჩაატარეს მასობრივი ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებაში.

რაიონში წელს მომზადდა 2 პირველთანრიგოსანი, 92 მეორე და 197 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი. იმშთ და მშთ ნორმატივები ჩააბარა 1.634 ფიზკულტურელმა.

ჩაის ფაბრიკის ეზოში, სპორტსკოლის დირექტორის მიხეილ წილოსანის ინიციატივით ახალგაზრდებმა საზოგადოებრივ საწყისებზე კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის კომპლექსური მოედანი გააშენეს. ახალი ნაგებობა კიდევ უფრო გაზრდის ლანჩხუთელ ფიზკულტურელთა მიღწევებს. მომავლისათვის აქ აუზის აგება განიზრახეს.

— თუ ამ საქმეში რაიონის ხელმძღვანელობაც დაგვეხმარება, ყველა სიძნელეს დავძლევთ, — გვითხრეს აქ და, მართლაც, სპორტულ ლანჩხუთს არც ამ ამოცანის გადაჭრა გაუჭირდება.

ლანჩხუთელთა სპორტული ტრადიციების საუკეთესო მაგალითად ისევ მ. წილოსანის ოჯახი გამოდგება. აქ ვერ ნახავთ ისეთს, სპორტს რომ არ მისდევდეს. მიხეილის ვაჟები ზურაბი და ჯემალი პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშეები არიან, მანანა — მეორეთანრიგოსანი, ხოლო 5 წლის ირაკლი დიდი „ასპარეზობისათვის" საკუთარ აუზში ემზადება — ცურვას სწავლობს. მანანას უკვე გაუსწრო და ახლა მამას ეჯიბრება.

სამამულო ომიდან შინ დაბრუნებული მიხეილი რაიონის სპორტულ სკოლას ხელმძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში მან მრავალი ტანმოვარჯიშე აღზარდა. მათ შორის: გ. ურუშაძე და დ. ებრალიძე, რომლებიც ოსტატობის კანდიდატები არიან, ხოლო აქ აღზრდილი ვ. დუნდუა, ამჟამად თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ოსტატობაზე მუშაობს.

ლანჩხუთში ფეხბურთი განსაკუთრებით უყვართ. სწორედ აქ ეზიარნენ ამ სახეობის ანბანს ახლა თბილისის დინამოელები ი. დათუნაშვილი, რ. ურუშაძე, ვ. ძიძიგური. მ. ებრალიძე და ს. ანდღულაძე აქედან მოვიდნენ ქუთაისის „ტორპედოში". მ. წერეთელი, თ. კვირკველია, გ. ჭყონია, ნ. ნარიაშვილი საქართველოს ნაკრებში თამაშობენ, ხოლო ბ. სიხარულიძე და თ. კოხრეიძე რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან.

ფიზკულტურელთა ზეიმი აქაურ ჩაის მკრეფავ ქალთა ზეიმიცაა. საწარმოო ტანვარჯიშის წყალობითაა, რომ კოლმეურნე ქალებს შრომა გაუადვილდათ. მოწინავე მეჩაიეებმა მამათელმა ჟ. კილაძემ, აცანელმა ც. ჩხაიძემ, შუხუთელმა ს. ტუღუშმა, ლესელმა ც. კვაჭაძემ და სხვებმა პირობა დადეს ფიზკულტურელთა დღეს ერთიორად მეტი „მწვანე ოქრო" ჩააბარონ სამშობლოს.

ლია გოგელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

„ლელოს" წერილის კვალდაკვალ

„გადახნული მინდვრები... ფეხბურთისა. გავშვებს — ბურთი და მოედანი!"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა. წ. 20 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვარში ფეხბურთის მოედანი შემოუღობავი და კეთილმოუწყობელია.

როგორც საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. არ. შადური გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად მჭადიჯვრის კოლმეურნეობის გამგეობამ დაამთავრა მოედნის შემოღობვა და ახლო მომავალში შეიძენს საჭირო სპორტინვენტარს.

წერილი რედაქციას!

ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში გურჯაანს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ქალაქის ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტიც. სამწუხაროდ, ჭიდაობის მოყვარულებს ნორმალური წვრთნის პირობები არ გააჩნიათ.

რა არის ამის მიზეზი? სპორტული დარბაზი გვაქვს (მართალია, მას მცირედი შეკეთება სჭირდება, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ იქნება პრობლემა), არის ინვენტარიც, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, როგორიც ჩვენს მოთხოვნებს შეეფერება. ახალგაზრდობის დაინტერესებასა და ენთუზიაზმზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არ გვყავს მხოლოდ კვალიფიციური მწვრთნელი, პედაგოგი, რომელიც მთელი გულისყურით მოჰკიდებდა ხელს მოჭიდავეთა აღზრდის საქმეს.

ამ საკითხში დახმარებას ველით როგორც რაიონის სპორტული ხელმძღვანელებისაგან, ისე რესპუბლიკის ჭიდაობის აქტივისაგან. ხომ ჰყავთ კვალიფიციური მოჭიდავეები საგარეჯოს, თელავს, ახმეტას? რატომ არ უნდა გვყავდეს ისინი ჩვენ, გურჯაანელებს? ნუთუ ასეთი ძნელი საქმეა ქალაქში კვალიფიციური და საქმის მოყვარე მწვრთნელის მოვლინება?

გურჯაანის ახალგაზრდობის სახელით: **გ. ქათამაშვილი, ვ. საბადაშვილი, ე. მამათელაშვილი, ბ. ოსიაშვილი, ი. ბერიაშვილი, გ. რუხაძე, ო. ოსიაოვი, შ. მატინაშვილი.**

შეიკრიბებიან ლენინგრადში

21 აგვისტოს, ლენინგრადის „დინამოს" სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება სსრ კავშირის ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

შეჯიბრებაში, რომელიც 3 დღეს გასტანს, მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის, მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 200-ზე მეტი უძლიერესი მეხანძრე-სპორტსმენი.

პირველ დღეს მოეწყობა შეჯიბრება დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში, მეორე დღეს — საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მე-4 სართულის ფანჯარაში ასვლაში (4 საუკეთესო სპორტსმენი ყოველი გუნდიდან) და სახანძრო ესტაფეტა 4×100 მ. მესამე დღის სტარტზე საიერიშო კიბით გამოვა ყოველი კოლექტივის დანარჩენი 5 მონაწილე. ჟურნალ „პოჟარნოე დელოს" რედაქციამ დააწესა გარდამავალი პრიზი. იგი გადაეცემა იმ გუნდს, რომელიც დაიკავებს პირველ ადგილს საიერიშო კიბით შეჯიბრებაში.

ამ დიდი მასშტაბის ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობისათვის გულმოდგინედ ემზადება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. მის შემადგენლობაში შედიან მეხანძრე-სპორტსმენები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები აჩვენეს ამას წინათ ჩატარებულ საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაზე სახანძრო-გამოყენებით სპორტში. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე დიდი სპორტული ღონისძიება სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ისტორიაში, რომელსაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 30-იან წლებში. ადრე მას არ ჰქონდა შემუშავებული ორგანიზაციული სტრუქტურა, გარკვეული წესები, ნორმები, ტექნიკური მოთხოვნები, არ იყო დადგენილი ერთიანი ფორმა სპორტსმენებისთვის და სპორტის ამ სახეობას ფაქტიურად ვიწრო უწყებრივი ხასიათი ჰქონდა.

3 ათეული წლის განმავლობაში თანდათან უფრო მასობრივი და პოპულარული ხდება სპორტის ეს სახეობა. ყოველწლიურად უმჯობესდება შეჯიბრების ჩატარების მეთოდები და ფორმები, მაღლდება ოსტატთა მომზადების დონე, იზრდება ტექნიკური მაჩვენებლები. 1959 წელს შემოღებულ იქნა „სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ოსტატის" წოდება და თანრიგები. გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის 30-მა საუკეთესო სპორტსმენმა სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

1963 წელს სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ გაითვალისწინა რა სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ისტორიული ტრადიციები და მაღალი შედეგები, შეიტანა იგი ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში. შეიქმნა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციები.

ამან დიდი მოზღვავება გამოიწვია არა მარტო პროფესიული სახანძრო დაცვის მუშაკთა, არამედ სხვა მოხალისე მეხანძრეთა შორისაც.

წელს მაისში პირველად ჩატარდა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე ნორჩ მოხალისე-მეხანძრეთა რაზმეულებს შორის, სადაც გამარჯვებული გამოვიდნენ აფხაზეთის ნაკრების ახალგაზრდა სპორტსმენები.

აღსანიშნავია, რომ 1964 წელს ქართველმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა (კონკურსგარეშე) რსფსრ-ს პირველობაზე კრასნოდარში. იქ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს, რისთვისაც დაჯილდოვდნენ რსფსრ-ს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პირველი ხარისხის დიპლომით.

ამას წინათ სსრ კავშირის სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსკოვში განიხილეს სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო შეჯიბრების წესების პროექტი. მას საფუძვლად უდევს ბულგარული, პოლონური და საბჭოთა წესები. გათვალისწინებულია შეჯიბრების ჩატარება დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში. სპორტული ინვენტარი იქნება ისეთი, როგორც მიღებულია შეჯიბრებაში მონაწილე გუნდის ქვეყანაში, ყოველი გუნდი დაიპყრობს სასწავლო კოშკის მე-4 სართულს მისი ქვეყნის კიბის საშუალებით. სახანძრო ესტაფეტის მე-4 ეტაპზე ყოველი გუნდი გამოიყენებს თავის ცეცხლმაქრებს.

ვ. ბარამიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მცხეთელები — მეთექვსმეტედ

თბილისის ზღვაზე ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს გუნდური პირველობა საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. ეს ამავე დროს იყო შერჩევითი შეჯიბრება საკავშირო პირველობისთვის, რომელიც სექტემბრის დასაწყისში გაიმართება უკრაინის ქალაქ ხმელნიცკიში.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, მცხეთისა და დუშეთის გუნდები. მოზრდილებთან ერთად თავიანთი გუნდების ინტერესებს იცავდნენ მოზარდებიც.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მეთექვსმეტედ მოიპოვა მცხეთის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისელი ნიჩბოსნები, მესამეზე — რუსთავის კოლექტივი.

პირად პირველობაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზოგიერთი მაჩვენებელი. კერძოდ, თავი ისახელა პროფკავშირთა მერვე საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორმა ბ. მხეიძემ. მან ა. ბეროშვილთან ერთად ორადგილიანი ბაიდარით 1.000 და 10.000 მეტრზე დიდი უპირატესობით აჯობა მეტოქეებს. ჭაბუკთა შორის ორადგილიანით ასპარეზობაში გაიმარჯვეს ხ. ცხოვრებოვმა და არუთინოვმა. კანოისტთა შეჯიბრებაში (10.000 მეტრზე) ერთიანებით მაღლ დაწინაურდა თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. რაზმაძე და პირველობაც დაისაკუთრა. ორადგილიანებით ყველას მცხეთელებმა ა. ბერიძემ და შ. კოშმანაშვილმა აჯობეს. ამავე ტიპის ნავებით 1000 მეტრზე რბოლა კი რუსთავის გუნდის წევრებმა ა. წივწივაძემ და ო. გაგარინმა მოიგეს. კანოისტ ჭაბუკთა შორის კარგი მომზადება გამოამჟღავნა მცხეთელმა ა. თიბილაშვილმა.

ქალთა შორის ყველაზე უკეთესად რუსთაველი სპორტსმენები გამოვიდნენ. ერთადგილიანი ბაიდარებით ტურნირი მოიგო ლ. ბესპალოვამ. ორადგილიანებით გაიმარჯვეს ლ. მიტკოვეცმა და ვ. ნეპრიატნაიამ.

შეჯიბრების შემდეგ შედგა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც სათანადო წვრთნის შემდეგ ხმელნიცკს გაემგზავრება.

სურათზე: ბ. მხეიძე და ა. ბეროშვილი შეჯიბრების დროს.

ფოტო და ტექსტი ვ. სტოლიაროვისა.

ახალი ამბები

● **მოსკოვი,** 14 აგვისტო. გუშინ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე ავსტრალიელმა მ. სმიტმა იგივე ანგარიშით დაამარცხა მ. კული, როგორითაც წინა დღეს „იმსხვერპლა" თბილისელი ა. ივანოვა — 6:0, 6:1. სმიტი ნახევარფინალში საბჭოთა ჩოგბურთელ ტ. კივის შეხვდება. თ. ლეიუსმა ნახევარფინალში მოუგო ამერიკელ რ. უერკსმანს — 6:2, 6:2, 6:4 და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი გაირკვევა ა. მეტრეველ—ა. ფოქსის შეხვედრაში. მეოთხედფინალური მატჩი პარმასთან მეტრეველმა თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 6:2, 6:2, 6:1.

● **სნაგოვის** ტბაზე დაიწყო ევროპის პირველობა ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც ფინალურ ასპარეზობაში მოხვდნენ რვავე სახეობაში.

● **ბონი.** ანგარიშით 142:92 აშშ-ის მძლეოსნებმა მოუგეს გფრ-ის ვაჟთა ნაკრებ გუნდს. აუგსბურგში გამართულ ორდღიან მატჩში შეჯიბრების დასკვნით დღეს 10.000 მეტრზე რბენაში თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ბილი მილსმა — 28.17,6. მეორე ადგილზე გამოსული გერმანელი სპორტსმენის ლ. ფილიპის შედეგიც—28.35,10, გფრ-ის რეკორდია. ათჭიდში გაიმარჯვა გერმანელმა ხ. ბეიერმა — 7.636 ქულა.

● **ნიუ-იორკი.** ერთი წლის წინათ ნორჩმა ამერიკელმა სპორტსმენმა ქალმა პატი კარეტომ დაამყარა თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 18.30,5. ახლა პატიმ აჩვენა ახალი შედეგი — 18.23,7. 14 წლის გოგონამ ეს გააკეთა აშშ-ის ჩემპიონატზე ცურვასა და წყალში ხტომაში, რომელიც ქ. ტოლიდოში ჩატარდა.

● **ლონდონი.** კანადელმა მოცურავე დენ შერიმ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 110 იარდზე ბატერფლაით ცურვაში. ბლეკპულში ჩატარებულ დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატზე შერიმ აჩვენა 58,1 წამი და 0,9 წამით გააუმჯობესა ავსტრალიელ კ. ბერის მიერ 1963 წელს დამყარებული რეკორდი.

● **მადრიდი.** როცა უკან დარჩა 72 კილომეტრი და მიზნამდე მხოლოდ—5, ქარიშხლის ამოვარდნის გამო იძულებული იყო შეეწყვიტა თავისი გაცურვა 33 წლის ესპანელ სტენოგრაფისტ ქალს მ. ტრესერას. მას უნდა განეხორციელებია გადაცურვა ნაოს კონცხიდან (ესპანეთი) ქალაქ ივისუმდე (ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაზე). სპორტსმენმა ქალმა წყალში დაჰყო 55 საათი.

● **ბუენოს-აირესი.** ანგარიშით 3:1 (1:0) მადრიდის „რეალმა" აქ მოუგო ადგილობრივ კლუბ „ბოკა იუნიორსს".

● **ბონი.** ევროპაში კვლავ გამოდის იაპონიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენები დასავლეთგერმანულ ქალაქ გისენში შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს და გაიმარჯვეს 3:2 (1:0).

● **მოსკოვი,** 14 აგვისტო. 25-მეტრიან საცურაო აუზში 20 წლის ს. ბელიც-გეიმანმა (მოსკოვი) 200 მეტრი თავისუფალი სტილით 1.59,7 გაცურა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ძველი რეკორდი ა. პარამონოვს ეკუთვნოდა და 2.00,6 უდრიდა.

„ბიშლეტის" მატჩის მოლოდინში

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს ცნობილი სტადიონი „ბიშლეტი" ერთი კვირის შემდეგ, 21-22 აგვისტოს, გადაიქცევა მძლეოსნობაში ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთი ნახევარფინალის ასპარეზად. ფინალში გასვლისთვის აქ იბრძოლებენ სსრ კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთის, ბელგიის, ფინეთისა და ნორვეგიის სპორტსმენები.

სპორტული მიმომხილველები წინასწარმეტყველებენ: გაიმარჯვებენ საბჭოთა სპორტსმენები. მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ ფრანგები და უნგრელები. ნორვეგიელები თავიანთ მთავარ ამოცანად თვლიან გაძვრნენ ფინალში, სადაც ამ ნახევარფინალიდან 3 გუნდი დაიშვება. როგორც გაზეთი „აფტენპოსტენი" აღნიშნავს, ეს იქნება ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობათაგანი, რომელიც „ბიშლეტზე" შეკრებილთ ოდესმე უნახავთ. აქ სტარტს აიღებს ექვსი მსოფლიო რეკორდსმენი და ექსრეკორდსმენი, ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის პირველობათა მრავალი პრიზიორი.

საბჭოთა გუნდის შესახებ „აფტენპოსტენი" წერს: „საბჭოთა კავშირი გამოიყვანს თავის საუკეთესო ძალებს, რომელთა შორის არ იქნება მხოლოდ ი. ტერ-ოვანესიანი. მაგრამ ახალბედა არც მისი შემცვლელი ბარკოვსკია, რომლის პირადი რეკორდი 803 სანტიმეტრია. ბარკოვსკის გარდა ოსლოში ჩამოვლენ ბრუმელი ან ბოლშოვი, ბოლოტნიკოვი, ლუსისი, კლიმი და სხვ. მძლეოსნობის ამ „ვარსკვლავებს" მხოლოდ ამერიკელების საუკეთესო შემადგენლობა თუ გაუწევს წინააღმდეგობას", — დასკვნის მიმომხილველი.

● **ვიუწვენი,** 14 აგვისტო. აშშ-ის მძლეოსან ქალთა გუნდმა აქ მატჩი მოუგო გფრ-ის ნაკრებს — 62:55. სტუმრებმა გაიმარჯვეს პროგრამის 11 სახეობიდან შვიდში. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მათი უპირატესობა მოკლე დისტანციებზე რბენაში: 100 მეტრზე პირველი იყო ვ. ტაიესი (11,4), 200 მეტრზე — ე. მაკგუაირი (23,1), ხოლო 400 მეტრზე — ჯ. სმიტი (54,0). სიგრძეზე ხტომაში ტოლი არ ჰყავდა ვ. უაიტს (აშშ) — 644 სმ. გფრ-ის სპორტსმენთაგან აღსანიშნავია ა. გლაიჰფელდის გამარჯვება 800 მეტრზე რბენაში — 2.09,5 და ი. შელისა — 80 მეტრზე თარჯრბენში (10,7), აგრეთვე მ. კლაინისა ბირთვის კვრაში — 16,20 მ.

როგორ დავამათოთ?

რედაქციაში მრავალი ახალბედა საჭადრაკო კომპოზიტორის ნაწარმოები შემოდის. ზოგიერთი მათგანი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. დღეს გთავაზობთ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის თანამშრომლის მ. კრასავინის სამსვლიან ამოცანას.



შამათი სამ სვლაში.

ფეხბურთი

120 წუთი — გამარჯვებულის გარეშე

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 14 აგვისტო.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი) 0:0.

„სპარტაკი": მასლაჩენკო, დიკარევი, ვარლამოვი, კორნეევი, კრუტიკოვი (როჟკოვი), ლოგოფეტი, ფალინი, იანიშევსკი, რეინგოლდი, სევიდოვი, ჰუსაინოვი.

„დინამო": დენისენკო, რიომინი, ზარემბო, უსატორე, არზამასცევი, მოზერი, სავოსტიკოვი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

120 წუთი, 4 ტაიმი მოუნდა გუშინდელ ფინალურ მატჩს სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში და გამარჯვებული მაინც არ გამოვლენილა — 0:0. თასის ფინალების ისტორიაში რამდენიმეჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა მსაჯებს დამატებითი დროის დანიშვნა დაჭირდათ, მაგრამ რომ ფინალს არ გამოერკვიოს პრიზის მფლობელი, ეს პირველადაა.

მინსკის დინამოელებმა პირველივე წუთებიდან მიმართეს თავიანთ მძლავრ იარაღს — მაქსიმალურ ტემპსა და შეუნელებელ აგრესიას. მათი შეტევა შეტევას მოსდევდა, სპარტაკელებს გაძლიერებული ძალებით უხდებოდათ თავის დაცვა და მხოლოდ ტაიმის დასასრულს გათანაბრდა მინდორზე მდგომარეობა. მინსკელებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ საწადელისთვის და როცა მეორე ტაიმში განსაკუთრებით იჩინა თავი დაღლილობამ, იერიშზე „სპარტაკი" გადავიდა.

დამატებითი დროის ორივე ნახევარში არ დამცხრალა დაძაბული ბრძოლა, თუმცა ორივე გუნდის მოთამაშეები დასასრულისთვის მეტად დაქანცული გამოიყურებოდნენ. ანგარიში არ გახსნილა — 0:0. დღეს ფინალისტები კვლავ გამოვლენ განმეორებით მატჩში საბრძოლველად.

სსრ კავშირის პირველობა

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონაში გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

გურჯაანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ალაზანი" და რუსთავის „მეტალურგი". ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: „დინამო" (სტავროპოლი) — „ენგური" (ზუგდიდი) 2:1, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „დინამო" (ბათუმი) 3:0, „უროჟაი" (მაიკოპი)—„დინამო" (სოხუმი) 0:2, „შრ. რეზერვები" (კისლოვოდსკი) — „კოლხიდა" (ფოთი) 3:1, „დინამო" (კიროვაბადი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 2:2, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:0, „შირაკი" (ლენინაკანი)—„სპარტაკი" (ნალჩიკი) 0:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „დინამო" (ბაქო) 1:1.

„ბ" კლასი

გათამაშების ცხრილი

რსფსრ-ს IV ზონა

მდგომარეობა 15 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	22	12	8	2	31—12	32
„დინამო" (ბაქო)	22	12	4	6	30—18	28
„დინამო" (კიროვაბადი)	22	11	6	5	21—18	28
„შირაკი" (ლენინაკანი)	22	11	5	6	34—22	27
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	21	12	2	7	36—23	26
„ცემენტი" (ნოვოროსიისკი)	22	9	6	7	25—21	24
„დინამო" (მახაჩყალა)	22	10	4	8	23—20	24
„ლორი" (კიროვაკანი)	22	9	6	7	22—20	24
„უროჟაი" (მაიკოპი)	22	9	4	9	31—24	22
„დინამო" (სოხუმი)	21	9	3	9	35—25	21
„მეშახტე" (ტყიბული)	21	8	5	8	25—24	21
„ალაზანი" (გურჯაანი)	22	8	5	9	22—24	21
„დინამო" (ბათუმი)	22	6	7	9	16—24	19
„შრ. რეზერვები" (კისლოვოდსკი)	22	6	7	9	20—29	19
„ლერნაგორცი" (კაფანი)	21	6	6	9	25—29	18
„ენგური" (ზუგდიდი)	22	4	10	8	22—33	18
„კოლხიდა" (ფოთი)	22	6	6	10	15—29	18
„დინამო" (სტავროპოლი)	22	5	7	10	22—34	17
„ფოლადი" (სუმგაითი)	22	5	6	11	23—36	16
„მეტალურგი" (რუსთავი)	22	2	9	11	17—35	13

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

სკა (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:2. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

მატჩი საინტერესო გამოდგა. დასაწყისიდან არმიელები უტევდნენ მოწინააღმდეგეს და მე-19 წუთზე ჯიბლაძემ შეძლო ანგარიშის გახსნა. გაშვებულ გოლს სტუმრებმა მწვავე კონტრშეტევებით უპასუხეს და ორჯერ ვერ გამოიყენეს კარის აღების რეალური შესაძლებლობა. „ბახმაროს" უპირატესობამ განსაკუთრებით იჩინა თავი მეორე ტაიმში. საპასუხო გოლი გაიტანა ვასაძემ, ხოლო კვიტაიშვილმა კი საბოლოოდ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ჩოხატაურელმა ფეხბურთელებმა.

„შუქურა" (ქობულეთი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1. მსაჯი პ. ამბარცუმიანი (თბილისი).

ენერგიულმა, კოლექტიურმა იერიშებმა „შუქურას" წარმატება მოუტანა 22-ე წუთზე, მაგრამ გუნდმა ვერ შეძლო მისი შენარჩუნება. სამტრედიელები შემდგომში დიდი მონდომებით თამაშობდნენ და მანჯგალაძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „წინსვლა" (წულუკიძე) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ჩატარდა მორიგი შეხვედრები II ქვეჯგუფშიც. **პირველი ზონა:** „მეტალურგი" (რუსთავი) — „ისანი" (თბილისი) 1:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ნადიკვარი" (თელავი) 4:0, „სამცხე" (აწყური) — „კოლმეურნე" (მარნეული) 1:2, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „კახეთი" (ველისციხე) 3:1, „ქართლი" (გორი) — „ირისტონი" (ცხინვალი) 4:1. **II ზონა:** „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მექანიზატორი" (ფოთი) 1:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „კოლხიდა" (ხობი) 2:2, „ჭიხურა" (საჩხერე) — „აერო" (გალი) 1:0, „დინამო" (სოხუმი) — „ცისკარა" (ბათუმი) 2:2, „სულორი" (ვანი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 3:0.

ზონალური შეჯიბრებები: **VII ზონა.** ახმეტა — სილნაღი 3:2, ლაგოდეხი — წითელწყარო 3:2, საგარეჯო — თელავი 7:1. **VIII ზონა:** დუშეთი — თეთრი წყარო 4:1, ბოლნისი — კასპი 0:1. **X ზონა:** ჩხოროწყუ — აბაშა 1:4, ჩოხატაური — ლანჩხუთი 2:1.

გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 14 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა" (გორი)	17	11	2	4	28—12	24
„მესხეთი" (ახალციხე)	17	10	4	3	28—11	24
„შუქურა" (ქობულეთი)	17	7	7	3	30—24	21
„თოლია" (თბილისი)	16	6	8	2	30—18	20
„გურია" (ლანჩხუთი)	16	7	6	3	22—16	20
სკა (თბილისი)	18	4	10	4	34—28	18
„სინათლე" (თბილისი)	16	5	8	3	24—20	18
„ცისკარი" (ცხაკაია)	17	5	7	5	19—18	17
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	19	4	9	6	18—18	17
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	18	5	6	7	19—18	16
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	17	6	4	7	14—22	16
„წინსვლა" (წულუკიძე)	18	5	5	8	20—35	15
„მაღაროელი" (ჭიათურა)	15	5	3	7	19—21	13
„სამეგრელო" (ზუგდიდი)	17	3	7	7	13—24	13
„ბახმარო" (ჩოხატაური)	16	2	8	6	15—24	12
„განთიადი" (ბორჯომი)	16	4	4	8	16—27	12
„მერცხალი" (მახარაძე)	16	3	4	9	17—28	10

II ქვეჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქართლი" (გორი)	11	7	2	2	19—11	16
„ისანი" (თბილისი)	13	4	7	2	21—14	15
„ბახტრიონი" (ახმეტა)	11	6	2	3	18—12	14
„ირისტონი" (ცხინვალი)	12	6	2	4	18—16	14
„კოლმეურნე" (მარნეული)	12	5	3	4	19—17	13
„მეტალურგი" (რუსთავი)	12	4	4	4	16—17	12
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	12	5	2	5	18—21	12
„სამცხე" (აწყური)	12	3	4	5	15—20	10
„დურუჯი" (ყვარელი)	10	4	1	5	16—13	9
„ნადიკვარი" (თელავი)	10	4	1	5	16—21	9
„კახეთი" (ველისციხე)	13	2	0	11	11—28	4

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	13	9	2	2	35—12	20
„აერო" (გალი)	13	7	3	3	25—13	17
„სამგურალი" (წყალტუბო)	13	6	5	2	20—12	17
„სალხინო" (გეგეჭკორი)	13	8	0	5	24—16	16
„ცისკარა" (ბათუმი)	13	7	2	4	18—16	16
„კოლხიდა" (ხობი)	11	5	3	3	18—12	13
„თოლია" (ფოთი)	13	5	3	5	14—13	13
„სულორი" (ვანი)	13	3	6	4	17—21	12
„ჭიხურა" (საჩხერე)	13	4	4	5	13—18	12
„საირმე" (მაიაკოვსკი)	12	3	1	8	21—25	7
„დინამო" (სოხუმი)	12	1	3	8	16—36	5
„დინამო" (ქუთაისი)	12	1	2	9	11—30	4

საქართველოს თასზე

დაიწყო რესპუბლიკის თასის გათამაშება ფეხბურთში. ჭიათურაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მაღაროელი" და წულუკიძის ძაფსალები ფაბრიკის გუნდი. მატჩის დამთავრებას აკლდა სულ რამდენიმე წუთი, როცა ანგარიში იყო ფრე — 1:1. ამ მცირე დროში წულუკიძელებმა შეძლეს თავიანთი ერთ-ერთი იერიშის გოლით დამთავრება და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ცხაკაიას „საქვაპრომის" ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს თამაში თბილისში, სადაც მათი მოწინააღმდეგე იყო აბრეშუმის ფაბრიკის გუნდი. გამარჯვება მოიპოვეს სტუმრებმა — 3:1.

გუმბრინის წარმოების (წყალტუბო) და ფეხსაცმლის ფაბრიკის (ბათუმი) გუნდების შეხვედრა დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) სათამაშოდ არ ჩავიდა რუსთავში, რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა.

რობერტ ფიშერი, როგორიც არის იგი

ა. კოტოვი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

... შორს, ოკეანის გაღმა, ნიუ-იორკის დიდ ბინაში საათობით უზის საჭადრაკო დაფას ყმაწვილი კაცი, რომელსაც სულ ახლახან ოცდაერთი წელი შეუსრულდა. მთელი მისი ოთხოთახიანი ბინა გავსებულია ჭადრაკით. აქ არის დაახლოებით ორასამდე საჭადრაკო წიგნი, უჯრედოვანი შავ-თეთრა დიაგრამებიანი ჟურნალების გროვა და სამი საჭადრაკო მაგიდა.

ფიშერი ცდილობს დაეუფლოს ყოველივეს, რასაც მიაღწია კაცობრიობამ ჭადრაკის უძველეს ხელოვნებაში. მან შეისწავლა ყველა თანამედროვე ოსტატის პარტიები, ახლა კი ხელი მოჰკიდა ვილჰემ სტეინიცის, მიხეილ ჩიგორინისა და პაულ მორფის პარტიების კრებულებს. ჭაბუკი ჩემპიონი ხვეწს თამაშის თავის სტილს, ცდილობს გაამდიდროს იგი ყოველივე იმით, რასაც თანამედროვე მოჭადრაკეებმა და წარსულის კორიფეებმა მიაღწიეს. ამ შრომის შედეგებიც თვალსაჩინოა: ამერიკის უკანასკნელ ჩემპიონატში ფიშერმა მეექვსედ ზედიზედ გაიმარჯვა გასაოცარი შედეგით: თერთმეტ პარტიაში თერთმეტი გამარჯვება მოიპოვა!

ფიშერის ცხოვრება ჭადრაკითაა აღსავსე. იგი მას სწირავს მთელ თავის გონებრივ და სულიერ ძალებს; მას უსაზღვროდ უყვარს საჭადრაკო ხელოვნება. ერთხელ, როცა ევროპის ფერწერისა და ქანდაკების ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმი დაათვალიერა, ბობიმ თქვა:

— კარგია, მაგრამ ჭადრაკი მაინც მირჩევნია.

ეს ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანი მარტოხელაა. ნიუ-იორკში მას არ ჰყავს მეგობარი, არ ჰყავს კეთილმოსურნე კრიტიკოსები, მრჩევლები, თანამემწეები. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრეტენდენტთა იუგოსლავიის ტურნირის დროს, 1959 წელს, ფიშერის მწვრთნელი დანიელი დიდოსტატი ბენტ ლარსენი იყო.

ფიშერი მაინცდამაინც პოპულარული არ არის თავის ქვეყანაში, თუმცა იქ არც ჭადრაკია პოპულარული.

— მე მიყვარს მოსკოვის რადიოს გადაცემები, — აღიარებს ფიშერი, — განსაკუთრებით გადაცემები ჭადრაკზე.

ის ხშირად ჩივის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოჭადრაკეთა არსებობა დამოკიდებულია სატურნირო პრიზებზე, რომლებიც ხშირად მეტად უმნიშვნელოა. მართალია, ზოგჯერ ეხმარებიან მილიონერები, მაგრამ ეს ნასუფრალი ცოტაა.

— გოლფის ტურნირებისთვის ფულის მაგნატები 30 ათას დოლარსაც კი არ იშურებენ, — მითხრა როგორღაც ბობიმ, — ჭადრაკისთვის კი ათას ან ორი ათას დოლარს მოგვიგდებენ და თან გვეტრაბახებიან. ტურნირებს მეცენატთა სახელებს არქმევენ, შეჯიბრების მონაწილე მათ მდაბლად უნდა უკრავდეს თავს, თამაშობდეს, როცა მათ მოესურვებათ, — და ყოველივე ეს ორი ათასი დოლარისთვის, რაც მათთვის არაფერს წარმოადგენს...

ფიშერი ამას გულწრფელად ამბობს: ლაპარაკი ხომ ჭადრაკს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მის ბედს ეხება. მსგავსი გულწრფელობა მაინცდამაინც არ სიამოვნებთ მილიონერებს და მათს მსახურებს. ისინი ხომ თვლიან, რომ ინახავენ ფიშერს, — ის კი უმადურია.

შეერთებული შტატების ყველაზე ნიჭიერი მოჭადრაკე არაკეთილმოსურნეობის დაძაბულ ვითარებაში ცხოვრობს.

ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იგი, მაგრამ დოლარის ქვეყანაში არსებობის პირობებმა აიძულეს ბავშვობიდანვე იბრძოდეს წარმატებისთვის და სიჭაბუკის აყვავების პერიოდში ფიშერი ნერვული, გესლიანი, უკმური გახდა. მისი მოქმედება კი ზოგჯერ განებივრებული პრიმადონას საქციელს მოგვაგონებს. მაგრამ სამართლიანად წერდა ერთ-ერთი ინგლისური საჭადრაკო ჟურნალი: „ნუ იფიქრებთ, ფიშერის გამონათქვამების მიხედვით, რომ ის ისეთია, როგორადაც გამოიყურება. ის მხოლოდ ძალიან ახალგაზრდაა და ჯერ კიდევ არ იცის, რის თქმა შეიძლება და რისი — არა". სტოკჰოლმში გამართული ტურნირის შემდეგ ხშირად მისაუბრია ფიშერთან. უკვე მერამდენედ შემომჩიოდა რობერტი, რომ მას უსიამოვნებას აყენებენ აბეზარა კორესპონდენტები, იგავებს თხზავენ მის შესახებ, უგონებენ მეტად წარმოუდგენელ ამბებს.

— მისმინეთ, ბობი, — ვუთხარი მე, — ბევრ შემთხვევაში ხომ თქვენ თვითონ ხართ დამნაშავე. თქვენ მხოლოდ და მხოლოდ ფულზე ლაპარაკობთ: დოლარები, დოლარები! თქვენ კი მხოლოდ ცხრამეტი წლისა ხართ. თავი გაანებეთ ფულის თხოვნას და მაშინ რეპორტიორებს ხელიდან გამოეცლებათ თქვენზე თავდასხმის მთავარი კოზირი.

— მართლაც, თქვენ თითქმის მართალი ხართ, — დამეთანხმა ფიშერი.

— მოგეწონათ მოსკოვი? — შევეკითხე.

— დიახ, ძალიან.

— თუ გსურთ სსრ კავშირში კიდევ ჩამოსვლა, რათა საერთაშორისო ტურნირში ითამაშოთ?

— სიამოვნებით ჩამოვიდოდი! მხოლოდ ერთი პირობით.

— რა პირობით?

— თუ ტურნირის შემადგენლობა ძლიერი იქნება... და პრიზებიც კარგი, — სიტყვა დააბოლავა ჭაბუკმა დიდოსტატმა.

მივხვდი, რომ ამაო იყო ჩემი მეცადინეობა. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ბრძოლა ყვითელ ეშმაკთან, რომელმაც დაატყვევა ნიჭიერი ამერიკელი მოჭადრაკის სული.

ჟურნალი „ზნამია", 1965 წ.

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 156, 157, 158.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... მოემზადეთ, დილის ფიზდაპურვა იწყება!

ფოტოეტიუდი მ. კანდელაკისა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

ციურიხში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა ფეხბურთელთა ამ პოპულარული ტურნირის პირველი წრის კალენდარი. აი ისიც:

„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „სლივმა ვანდერი" (მალტა). 26 აგვისტოს მატჩი შედგება ათენში, 10 ოქტომბერს — ლა ვალეტში.

„კეფლავიკი" (ისლანდია) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი). 29 აგვისტოს — რეიკიავიკში, 8 სექტემბერს — ბუდაპეშტში.

„ფენერბახჩე" (თურქეთი) — „ანდერლეხტი" (ბელგია). 8 სექტემბერს — სტამბოლში, 15 სექტემბერს — ბრიუსელში.

„ფეიენორდი" (ჰოლანდია) — „რეალ მადრიდი" (ესპანეთი). 8 სექტემბერს — როტერდამში, 22 სექტემბერს — მადრიდში.

„17 ნოემბერი" (ალბანეთი) — „კილმანროკი" (შოტლანდია). 8 სექტემბერს — ტირანაში, 29 სექტემბერს — გლაზგოში.

„ლოზანა" (შვეიცარია) — „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია). 8 სექტემბერს — ლოზანაში, 20 სექტემბერს — პრაღაში.

„დრამკონდრა" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ფორვერტსი" (გდრ). 15 სექტემბერს — დუბლინში, 22 სექტემბერს — ბერლინში.

ლასკ-ი (ავსტრია) — „გურნიკი" (პოლონეთი). 15 სექტემბერს — ლინცში, 22 სექტემბერს — ვარშავაში.

„სტად დიდელანჟი" (ლუქსემბურგი) — „ბენფიკა" (პორტუგალია). 16 სექტემბერს — ლუქსემბურგში, 5 ოქტომბერს — ლისაბონში.

ჰიკ-ი (ჰელსინკი) — „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი). 22 სექტემბერს — ჰელსინკში, 6 ოქტომბერს — მანჩესტერში.

„პარტიზანი" (იუგოსლავია) — „ნანტი" (საფრანგეთი). 22 სექტემბერს — ბელგრადში, 13 ოქტომბერს — ნანტში.

„აპოელი" (კვიპროსი) — „ვერდერ ბრემენი" (გფრ). 6 სექტემბერს — ჰამბურგში, 13 ოქტომბერს — ბრემენში (როგორც ხედავთ, ორივე მატჩი ტარდება გფრ-ის ქალაქებში).

„დინამო" (რუმინეთი) — „ოდენზე" (დანია). მატჩები ჩატარდება ბუქარესტსა და კოპენჰაგენში. თარიღები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ფეხბურთი

ქალაქ ტარასში (ესპანეთი) ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინა იზაბელიტა დოსტემ, რომელმაც ორი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა.

„ამ ამბით გაკვირვებულნი იყვნენ თვით კვალიფიციური და გამოცდილი მსაჯებიც კი, — წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი", რომელმაც დაბეჭდა ეს ფოტოსურათი, — გაკვირვებულნი იყვნენ იმიტომ, რომ ამ შეჯიბრებაში უძლიერესს სულ ახლახან შეუსრულდა 8 წელი".

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პატარა იზაბელიტა დოსტე ავად გახდა ბავშვთა დამბლით. მშობლების თხოვნით გოგონამ წვრთნა დაიწყო სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტის, ესპანელი მოცურავეების ცნობილი მწვრთნელის, ანდრეს რუისის მეთვალყურეობის ქვეშ.

წყალში ყოველდღიურმა ვარჯიშმა ნაყოფი გამოიღო. იზაბელიტას თითქმის მთლიანად გაუქრა დაავადების ნიშნები.

სურათზე: პატარა იზაბელიტა თავის მხსნელთან ერთად.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოსი.

▲ **ჰელსინკი.** დამთავრდა ავტომობილისტთა საერთაშორისო რალი. პირველი ადგილი მოიპოვა ინტერნაციონალურმა წყვილმა — ალტონენი (ფინეთი) — ამბროზი (ინგლისი). შეჯიბრების სტარტი 45 მანქანამ აიღო, ხოლო დისტანცია 36-მა დაამთავრა.

▲ **მიუნხენი.** გფრ-ის მრავალდღიანი ველორბოლა მოყვარულთა შორის მოიგო ჩერნოვსკიმ.

▲ **დარმშტადტი.** ავტომობილისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ევროპის პირველობის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა, პირველი ადგილი დაიკავა იტალიელმა სკარვიტიმ.

▲ **ჰამბურგი.** აქ მოეწყო მაგიდის ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პირველი ადგილი დაიკავა იუგოსლაველმა იოვანოვიჩმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რაისტლი (სამხრეთ აფრიკის კავშირი).

▲ **ბერლინი. კ. აპლერმა მოიპოვა გდრ-ის ჩემპიონის ტიტული 4 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში. მისი შედეგია — 5.04,2.**

▲ **ნიუ-იორკი.** აშშ-ის რეკორდსმენმა ცურვაში ს. კლარკმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, სათავეში ჩაუდგეს პერუს ეროვნულ ნაკრებს.

▲ **ბუდაპეშტი.** მოახლოვდა უნივერსიადის დაწყების დღეები. იგი 20 აგვისტოს გაიხსნება „ნეპშტადიონზე". როგორც აქ გამოცხადდა, თამაშებზე ჩამოვა 41 ქვეყნის 2.800 სპორტსმენი. გახსნის ცერემონიალზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონაწილეთა აღლუმი და მატჩი ფეხბურთში. ითამაშებენ უნგრეთის ნაკრები და „იუვენტუსი" (იტალია).

▲ **პეკინი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და იაპონიის გუნდები მონაწილეობდნენ მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ფინალში ქალებმა დაამარცხეს კორეელები — 5:0, ვაჟებმა — იაპონელები — 3:1.**

▲ **მელბურნი.** სლალომისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ვიქტორიის შტატში გაიმართა, ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლ. ლაკრომ (საფრანგეთი). ქალებში — მისმა თანამემამულემ მ. გოიჩელმა.

▲ **ვენა. საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში მოიგო იაპონელმა ვატანაბემ.**

▲ **ედინბურგი.** სამხრეთ აფრიკის კავშირში გამეფებული რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ახალი გამოსვლა მოაწყო უცნობ პირთა ჯგუფმა. მათ ჩაშალეს აქ დანიშნული საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში. ამას მიაღწიეს აუზში ქიმიური ხსნარის ჩასხმით, რამაც [illegible] უვარგისი გახადა რამდენიმე დღით.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. 15 აგვისტო. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. წვიმიანი ამინდის შემთხვევაში მატჩი ჩატარდება „მურევესტნიკის" სტადიონზე. დასაწყისი 18 ს. 15 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 9-58-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, ხამდივნო — 8-95-80, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ს. ლისტონი ახალ ამპლუაში

მას შემდეგ, რაც კასიუს კლეიმ განმეორებით დაამარცხა თავისი დაუძინებელი მტერი და სპორტული მეტოქე სონი ლისტონი, პროფესიულ რინგზე დროებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. ლისტონს აღარა აქვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის უფლება. მეტიც. იგი კარგა ხანს ვერ მოხვდება პრეტენდენტთა სიაში. მოკრივე მწვავე ეკონომიური კრიზისის პირას აღმოჩნდა.

მაგრამ სონი ლისტონს გამოუჩნდა „კეთილისმსურველი", რომელმაც იგი ერთ-ერთი პროვინციული საცირკო ჯგუფის შემადგენლობაში აიყვანა. მსოფლიო ჩემპიონს ძალზე პატარა როლი აქვს განკუთვნილი: იგი დაბალი გემოვნების მაყურებელთა წინაშე რამდენიმე ძალისმიერ ნომერს ასრულებს. ეს არის და ეს.

ბრბოს ინტერესებს ერთ დროს უძლეველი ჩემპიონის ნახვა. ხალხი სიამოვნებით მიდის საცირკო ატრაქციონზე და გულუხვად იხდის ბილეთის ფულს. მოგება ორმხრივია: შემოსავლის დიდი ნაწილი უცნობ „კეთილისმსურველს" — მცირე ნაწილი კი (ის, რაც საჭირო მხოლოდ არსებობისთვის) სონი ლისტონს — აჟიოტაჟის მთავარ მიზეზს.

ИНДЕКС 66448
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05638